

ჩემი პირადი

მოლნინის (აბას-აბატის) მადანზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи ВЪ редакціи газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ალკე ნომერი — ერთი შურთი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავრებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირაში სამჯერ

ამ 1875 წელს გაზეთი

## „დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გაზეთის ფასი

შროის წლისა — 8 მან., ნახევარის წლისა — 4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინს (აბას-აბატის) მადანზე, შორანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи ВЪ редакціи газеты „Дроება“

ჩემი პირადი

მართი ოზურგელი ხელის-მომწერისაგან მოგვივიდა დეგეშა, რომელიც ვეკოთხეს: რა მიზეზია, რომ ამ წლის გაზეთმა ამდენი ხანი დივიანაო. აწინაივე საჩივარი ძხეთილამ მოგვივიდა. სასიამოვნოა, რომ გაზეთს ასეთის მოუთმენლობით მოვლიან... და მით უფრო ვალდებული ვართ, რომ ამ მხრით გაზეთსა და იმის მკითხველს დაბრკოლება არ მიეცეს.

პირველი ნომრების გაგზავნაში ის დაბრკოლება იყო, რომ გაზეთი ახლის წესით (გაზეთის ექსპედირციის საშუალებით) უნდა გვიგზავნა და ამას ბევრი წვალბა და დრო მოუყრდა. ახლა კი, როდესაც ფორტასთან ანგარიში გაეასწავრათ, იმედია, ამ ხრით ჩვენი გაზეთის მკითხველებსაგან საჩივარს აღარ გავიგონებთ. და თუ რაიმე უწყობა მოხდა გაზეთის მიღებაში, დაწმუნებული იყავით, რომ ამში რედაქციას ყველაზე უფრო ნაკლები დანაშაული ექნება.

## საქართველო

### მხარეთმცოდნეობის შესახებ

მართს რუსულს გაზეთში ამას წინათ გამოცხადებული იყო, რომ ჩვენს მმართველობას განზრახვა აქვს, ისეთი ახალი კანონი გამოცხადოს, რომლის ძალითაც ებრავლებს რუსეთის ყველა გუბერნიებში დასახლებისა და ცხოვრების უფლება მიეცემათ.

შველა, ვინც ახლანდელი ებრავლების მდგომარეობა იცის, ვისაც ესმის — თუ რა ცუდი შედეგები დაზედ-მოქმედება აქვს თვით ქრისტიანებისთვისაც იმ შევიწროებასა და დევნას, რომელსაც ურიები ითმენენ, ვინც ხედავს, რა მოსდევს ჩვენგან

ურების თითქმის კაცად ჩაუთვლელობას, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამგვარი კანონი კეთილ ნაყოფს მოიტანს.

ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო რომელიმე კაცი შევიწროებულია, რაც უფრო მოკლებულია ყოველ-გვარ კანონიერ უფლებას, ისე უფრო ურიგოთ და საზოგადოების მაგნებელად არის იმის ცხოვრება და მოქმედება წამართული.

თუ ურიას ყველა მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, — დაწმუნებული იყავით, რომ დროს განმავლობით, ისიც კანონიერს და კაცურს გზაზე დაადგება. დაწმუნებულს თან იმ საბაგელ გზებსა, იმ იდუმალად ქრისტიანების მოტყუებასა და დაჩაგრვის სურვილს, რომელიც ახლა მიყენებული შევიწროების შურის საძიებლად გადაქცევა.

საფრანგეთი კარგს მაგალითს წარმოგვიდგენს ამის დასამტკიცებლად: იქაურ ურიებს თითქმის ყველა ის პოლიტიკური, სოციალური და სხვა უფლება აქვსთ კანონით მინიჭებული, რაც ნამდვილ ფრანკებსა. და ამის გამო იქაური ურიები ნამდვილ ფრანკებსაგან არც ხასიათით, არც პატიოსანებით და თითქმის არც გარეგანი შეხედულებით არ განიჩივიან. ფრანკების ურიას სრულებით არ მოუყა თავში სურვილი, თუ როდესმე შემთხვევა აქვს, შევიწროვოს, დაჩაგროს ან გაიძევოს მოატყუეოს რომელიმე ფრანკური, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ფრანკური და ეს ებრაველი. არ მოუყა თავში იმით, რომ თვითონ ის არ არის ფრანკების სახელმწიფოსაგან შევიწროებული და დაჩაგრული.

ჩვენშიაც ასე მოხდება. ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილის-შვილები მაინც მოესწრაბიან იმ დროს, როდესაც ურიები ისეთივე თანა-მოქალაქენი და თანა მოძმენი შეიქნებიან ქრისტიანებისა, როგორც ჩვენ ერთმანეთში ვართ. და ეს მოხდება, უტყველია, მხოლოდ მაშინ, როცა კანონი და ხალხი ნამდვილად ამიანად იცნობს, როცა არაფერს მოსთხოვს, რომ მაინცა და მაინც თავიანთი ხალხოსნობა და სარწმუნოება დააგდონ და სხვა რომელიმე მიიღონ, ერთის სიტყვით, როცა იმათაც ყველა ის უფლებანი მიენიჭებათ, რაც სხვა მოქალაქეებს აქვსთ. მაშინ „ურია“ საგინებელ სიტყვით აღარ იქნება.

ს. მესხი

ჩვენ მოგვივიდა, გაზეთში დასაბეჭდათ, შემდეგი განცხადება უფ. თფილისის ლებერნატორისაგან:

თანხმად გასულის 3 ნომბრის შმალღესად დამტკიცებულის შტატებისა და მისის იპერატორებითი შმალღესობის ძავეკასიის ნამეტნიკის განკარგულებისა, ამ წლის პირველი იანვრილამ თფილისის გუბერნიამი ორი ახალი უფსდი იმართება: თიონეთისა და ახალ-ქალაქისა.

### დღიური

□ ისმის, რომ მთავრობას დაუშტკიცებია თბილისი-დამოქომდი რკინის გზის კონცესია. მაგრამ ჯერ არ გავიგია არც ის, თუ რა ადგილებზე გაივლის ეს გზა და არც ის, თუ ვისთვის მიუცია კონცესია.

მინც უნდა ააშენოს, სულ ერთია; მხოლოდ ერთს ვინატრით: რომ ამ გზის აშენებაც ისე არ გაქანურდეს და ისე უშნოთ არ გათავდეს, როგორც შოთი-თფილისისა...

□ ჩვენ შევტუეთ, რომ თფილისის საადგილ-მამულლო ბანკილამ ვალის ამღებელნი გირაოს ფუტლებში ასს მანეთში ოთხმოცს მანეთზე ნაკლებს არ მიიღებენ. არ ვიცით, საილამ გაიგო „თფილისის მოამბემ“ ის ამბავი, რომ როდესაც ბირჟაზე კურსი ამ რიცხვზე მომეტებული იქნება, მოგება მუშაზე გაიყოფა ბანკსა და მსესხებელს შორისო.

□ ამბობენ, რომ ამ ორი წლის წინათ რომ თრიალეთში მართლის ზოგიერთ მემამულეებმა ყველის ქარხანა გახსნეს, უფ. ახელედინის თაოსნობით, ის ქარხანა ახლა დაუხურავთ, რადგან, როგორც სჩანს, ვერ უხეირნია.

ძალიან საინტერესო იქნება ამ ამბავზე უფრო დაწერილებითი ცნობების შტყობა; ერთ დროს ამ თრიალეთის საარტელო ყველის ქარხანაზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობდნენ; ახლა კი ასე ჩუმათ როგორ უნდა მოესპოს სიცოცხლე, თუ კი ეს ამბავი მართალია?...

□ უფ. ს. ც — ძე ნუგეშს აძლევს ჩვენს თანამშრომლებს, უფ. აკაკის, რომ თუმცა თქვენ სტყვითო, რომ მუთაისში უსომხებოთ არცერთი ქართული წარმოდგენა არ ხერხდებაო, მაგრამ აი, ახლა თქვენნივე ნათარგმნი „სკაპენის ცუდლუტობა“ წარმოდგინეს აქაო.

პორრესპონდენტი აღტაცებულია ამ წარმოდგენით; ის ამბობს, რომ დიდი ხანია საზოგადოება ისე კმაყოფილი არ წასულა ქართული წარმო-

დგენილამ, როგორც ამ საღამოსო; ბევრმა ითხოვა, რამ ესეე პიესა ერთხელ მაინც კადევ წარმოადგინონო.

მართლა, როდესაც წარსულ მ-ში ამ წარმოდგენაზე ორიოდ სიტყვა ვთქვით, იმის მოხ! ენება დაგვეწყდა, რომ, ხარჯს გარდა, 125 მანეთამდი შემოსულა და ეს ფულები ქართული სცენის სასარგებლოთ გადაურდვიათ.

□ მიზიყის ხალხის მდგომარეობაზე კარგი ამბები არ მოგვიღის. საკვების ნაკლებობას ახლავე გრძობენო და ახალ მოსაველამდი როგორ იქნება საქმე, ღმერთმა იცისო...

□ არასოდეს არ ყოფილა იმდენი გაცხარებული ქეიფი და ცეკვა-თამაში ჩვენს პატარა დ. ხონშიო, გეწერენ, რამდენიც ამ ზამთარს არისო...

აქაური საქალებო შკოლა კი საზოგადოებამ თითქმის სრულიად დაივიწყაო და ამის გამო სწავლა შკოლაში ამ უკანასკნელ დროს ძალიან შესუსტაო.

### „დროების“ კორრესპონდენცია

ნათლის-ღება სვანეთში (დ. სასრული)

ნათლის-ღების წინაღღეს სვანებში ემზადებიან, რომ მკედრებს კარგათ დახედენ. ნათლილებას და ორს შემდეგ დღეებში აქ მიცვალელებების მოხსენება იცინა. სვანი ფიქრობს, რომ მკედრები მათ ეწვევათ და ამიტომ ყველა სცდილობს, რომ ყოველისფერი ბლომად ჰქანდეს: პური, არაყი, ხორცი, ხილი და სხვა. წინა ღამეს თითო ოროლა პურს ფანჯრებზე შესდებენ, რომ მკედრის სული მოვიდეს და ჰამოს.

სადილობის და ვახშობის დროს დიდი სუფრები ხორაგით სავსეა, ყველა მეოჯახენი დიდი და პატარა ფეხზე დგანან და ვევედრებიან მიცვალელებს. შფროსი კაცი დაიწყებს: „საბრალ დედე იბაბა! ლახ-ხომრედმა ჰემმა იკფოლდღეს ი იშ-გდოლდღეს, ისგვეი იაქიაშ მამა არი, მარე ჩიგარ აშქი მად ირა; კოტ-კოტოლ სგიაი მალანმეხრედ, ნიშგვეი აშხე ი იმერმა ბარაქ ლახ-ქვენდ; ბობშარს ხოჩამდ ხაჩოლად ჩივ შევენდა ჯარხ საბლო. მრისტე ტაბაგდენისგავე ჯიგიად.“ (საბრალონო მამა და დედა! თუ რამ მოიხმარებოდეს, თუ შეიძლებოდეს და მიირთმევოდეს, სათქვენო არასფერი არის, მაგრამ ყოველთვის ვგრე არ





იქნება; ცოტა-ცოტა თქვენც მოგვებო-  
მარე, მადლი მოგვხედებოთ; მარცხს  
მოგვაშორეთ, ჩვენ ერთსა და მეო-  
რეს ბარაკა მიეცით, ბოვშევს კარგა  
მოვუყარით, ღმერთმა ყველას შეგინ-  
დოს; ძრისტეს სუფრაში მოგცესთ  
მან მონაწილეობა!) დაბრუნებს დე-  
და-კაცი პურს მარჯვნივ და მამა-  
კაცი არაყს წაუქცევს თავს. ეს ჩვე-  
ულებად მუდამ ყოველ საღიღინ-განმან-  
იციან სენათში, მაგრამ განსაკუთრე-  
ბით ამ ორ დღეში. მანამას სტამენ  
და დიდხანამდინ კი არ დასწევებან.  
მკვდრები მოგვებმანებიანო.

დიდ ხანამდი სხედან და რიგ-რი-  
გათ დიდი და პატარა სხვა და  
სხვა ზღაპრებს ანბობენ. ზღაპრე-  
ბი შემოვლიათ და ძილიც მოე-  
კიდათ; დაწინენ ცოტა წაიძინეს და  
უცდვით ერთი დედა-კაცი წამოადგა  
და გააღვიძა თავისი ქმარი. მამაშენი  
სკამზე იჯდა კერასთან და რაღაცა-  
ზედ გულმოსული იყო. იმასთან  
ჩვენი ახალ გადავალბული ბოვში  
იყო, უცდვით ადგენ ყველანი, სადაც  
კედრები ნახა დედა-კაცმა არაყი და-  
ღვარეს და რომ ბავშვს რამე მოს-  
წონებოდა, ეწლი და თხილი და-  
ფანტეს. უსათუოდ ცუდი მასწინძელი  
დაეხდითო და ამიტომ გემდურებიანო.

მრთხელ ამ ნათლიდებების დროს  
თავის დედა და თავისი ქმრის მამა  
ახალ გადავალბულნი ეზოში შე-  
მოვიდნენ, ვითომ ისინი ეკლესიიდან  
გამოვიდნენ; არცერთს მათგანს კარ-  
გი ტანისამოსი არ ეცვა; ორივე მონ-  
ძებში იყვნენ გახვეულნი, იმათ მოს-  
დევდნენ უკან მგელი და რომ არც  
ერთს მათგანს იარაღი არა ჰქონ-  
დათ, ძრიელ შეეშინდათ და თავის  
შთამომავლობას დაუწყეს წყევლა,  
რომ ჩვენ არც ტანისამოსი და არც  
იარაღი არ გავგატანეს საიქიოსაო.  
ამ დროს ძაღლები გამოაცინდნენ  
ვითომ ჩვენ სახლიდან და მგელი  
გაიქცაო. ძაღლის ყეფა რომ გავი-  
გონე, გავედი გარეთ და ესენი და-  
ვინახე. შემეშინდა და ყვირილი და-  
ვიწყე, ამ ყვირილში რომ ვარ გა-  
მომეღვიძა. შეველა ადგენ რასაკვირ-  
ველია, ერთი პაპა მოიყვანეს ამ შუა-  
ლაშვზე და რა ადგილასაც ესენი ნა-  
ხა ქალმა, იმ ალაგას გაფინეს სუფრა  
ხორავით საფე, თოფი, ტანისამოსი  
და პაპამ აკურთხა. თოფი და ტანი-  
სამოსი პაპამ წაიღო და სხვა იქვე  
გაქრეს. ამ სამ დღეში აი ამ ნაი-  
რათ ეშინიანთ მკვდრებისა და მერმე  
კი არა.

ახალწელიწადს და შობას, რო-  
გორც სხვა დიდ დღეებშიდაც,  
ღმერთს შეაძლევენ საქმელ სასამელს.  
მრთი კაცი დაიკავენს ხელში არაყს,  
მეორე პურებს, მესამე ხორცს, აღ-  
მოსავლეთით დადგებიან და ევედრე-  
ვიან ღმერთს. ამ ხვეწნაზე თითქმის  
მთელ სენათის ეკლესიებს ახსენებს.  
დიდამ დიდად, დიდადა ღმერთს,  
ხოშა ღერბეთ, ქვეყნი მოწრე ი ვნი  
შონისგა მოყდანი, ჩივს ლომხორე  
ი ჩივს ლომხორე! ლახხომარმა ჰემა  
იშგდოლდედს, ნომა ანკურმა ის-

გეუშად, ლევაბიქეს ათგო ნიშგვეცი  
მიზიგი ლექვა ლიცს. ლაშარია ქუ-  
თაშიშ, ლანეშდ, სოლომ ანგლეზ  
ჩუანღეზ, თარინზელ, მარხეარმოლ-  
ზაშ, ისგვა შონისგა ხეაროდ ი სი  
ჯაბა ჰედომ ან ცვირე ისგვა უშ.  
და სხვა და სხვა. (დიდება ღმერთსა,  
დიდო ღმერთო ღმერთო, ყოველის-  
ფრით დალოცვილო და ყოველის  
ფრით შემძლებელო! მოიხმარე თუ  
რამ იკადრებოდეს, ნუ დაგვეტოვებ  
შენს შიუწვენელად; ზევით ქარს  
გაატანე ჩივი ღმერთი და ქვეით წყალს  
ღმერთის შობელო ქუთაისისაო, მოგ-  
ვეხმარე; სოლომონ ანგელოზო! გავ-  
ვადლიერე; მთავარ ანგელოზო, გააქრე  
ჩვენი ცუდის მყოფელი; მაცხოვარო  
მულახისაო, შენს ხელში ვართ  
და შენ იცი თუ არ დაგ-  
ვეტოვებ შენის შეუწვენელად). რო-  
ცა რამეს დაჰკლავენ, გულ-  
ღვიძლს წვადათ გააკეთებენ და ეკ-  
კლესიაში წაიღებენ, ამასაც ღმერთს  
ვევედრებიან მიირთვას. ამ ნაირი  
კედრის პატივის ცემა მთელ სიცოც-  
ხლეში იციან, მაგრამ როგორც ზე-  
ვით ესთქვით, განსაკუთრებით ამ  
სამ დღეში და ალაგებში. ღმერთს  
შესწირავენ ხოლმე ხორავს დიდ  
დღეობით, როდესაც რაიმე საუფლო  
უქმე არის.

სენებმა რომ ამოღენი რამეების  
მკვიდრის მოხერა არ იცოდნენ, სწო-  
რეთ მდიდარი ხალხი იქნებიან. მთელ  
სიცოცხლეში ცოცხალ კაცს არ  
მოუწდება იმდენი. რამოდენსაც სიკ-  
ვლის შემდეგ მოახმარებენ.

ლ დღუანი.

### რუსეთი

როსტოვა-მლადიკავკაზის რკი-  
ნის გზა, როგორც ამას წინათაც ეა-  
ცნობეთ მკითხველებს, ამ ზაფხული-  
სათვის სრულდებით მზათ უნდა იყოს.  
როსტოვიდომ დაწყებული რამდენიმე  
ვერსი ეხლაც არის თურმე თითქმის  
დამზადებული და მმართველობას  
რკინის გზის ამშენებლებისათვის ნე-  
ბა მიუცია, რომ სადაც რეგისები დაწ-  
ყობილია და გზაც მზათ არის, იქ სა-  
ქონლის გადატანა შეიძლებაო.

რეველიდამ ერთს რუსულ გა-  
ზეთში იწერებიან, რომ ამ წლის რან-  
ერის 14-ს. გაიხსნება მსტილიანდის  
ლანდტაგი (პარლამენტი). ძანონით  
ამ ლანდტაგის სხდომა მხოლოდ რვა  
დღეს უნდა გაგრძელდეს. ამ სხდო-  
მაში უნდა ამოიჩიონ იქაური კეთილ-  
შობილობის წინამძღომლები და ამას  
გარდა ზოგიერთი სხვა საერო საქმე-  
ბიც უნდა განიხილოს.

მმართველობის მოამბეში და-  
ბეჭდილია შმაღლესი ბრძანება, რომ-  
ლის ძალითაც ყველა წოდების სალ-  
დათებს უფლება აქვთ ჭაფეტონებში  
ჩასხდნენ და აგრეთვე თეატრებში  
იარონ.

იანერის 15-ს პირველი შინა-  
განი სესხის ბილეთები პეტერბურღში

192 მანეთად გაყიდულა და მეორესი  
191 მანეთად და 50 კაპ.

### უცხო ქვეყნები

საშრანბში. რადგანაც განსაკუ-  
თრებით ამ უკანასკნელ დროს ერ-  
თობ ხშირად ისმის ჩივილი პერსიის  
ნაციონალურს კრებაზე და იმის უ-  
მოქმედობაზე, ამის გამო ერთი მ.რ-  
ჯვენა მხრის დეპუტატი, როგორც  
ამბობენ, წინადადების შეტანას აპი-  
რებს პრებაში, რომელთაც თხოუ-  
ლობს: 1877 წლამდე პრება ისე  
დარჩება, როგორც ახლა არისო;  
1877 წელს ერთი მესამედი პრების  
დეპუტატებისა გამოვლენ და მის  
ნაცვლად ხალხმა ახლები უნდა აარ-  
ჩოს; 1878 მეორე მესამედი გამო-  
იცვლება და 1879 წელს მესამე, ასე  
რომ 1880 პრებაში არცერთი ახ-  
ლანდელი წევრი აღარ იქნებაო და  
მაშინ ამ განახლებულმა პრებამ გა-  
დაწყვიტოს—თუ რომელი მმართვე-  
ლობის ფორმა უფრო გამოსადეგა  
საფრანგეთისათვის: რეპუბლიკა თუ  
მონარხია.

ნაპოლეონ მეამის სიკვდი-  
ლის სამგლოვაროთ იანერის 9  
ბონაპარტიული გაზეთები შავი არ-  
შიით შემოვლენულნი გამოქულნ.  
ამ დღეს ბონაპარტისტებს პარიჟის  
წმ. აგვისტინის ეკლესიაში პარაკ-  
ლისა გადაუხდიათ მიცვალებულის  
სულის მოსახსენებლად და, რო-  
გორც ამბობენ, რამდენიმე ასი მეშა  
მოუფროვებიათ და ეკლესიაში მო-  
უყვანიათ, ვითომ იმის დასამტკიცე-  
ბელად, რომ საფრანგეთის მუშები  
ნაპოლეონის ოჯახის თავყენის-მცე-  
მელნი არიანო.

ახალი სამინისტრო ჯერ კიდევ  
არ შემდგარა საფრანგეთში და რო-  
გორც ამ დღეებში მოსული გაზე-  
თებიდამ ხანს, ევრც შედგება, სა-  
ნამ პრება კონსტიტუციურ კანონე-  
ზე მოლაპარაკებას არ გაათავებს.

იტალია. მრთს ბერმანიელ მე-  
გობართან მიწერილს ბარათში ბა-  
რიბალდი ამბობს, რომ 1870 და  
1871 წლებში მე მხოლოდ თავი-  
სუფლებებისა და დემოკრატიული პრინ-  
ციპის გასამარჯვებლად ვიბრძოდი  
და არა ბერმანიის ხალხის დასაჩაგ-  
რავათო. მას შემდეგ რაც ნაპოლეო-  
ნი დატყვევა თქვენმა იმპერატორ-  
მა, იმის ბძროლა საფრანგეთის რესპუ-  
ბლიკასა და თავისუფლებასთან ბრძო-  
ლა იყო და არც ერთი პატიო-  
სანი და გონიერი კაცი არ დამძრა-  
ხავს, თუ მე ამ შემთხვევაში საფ-  
რანგეთის ხალხს მხარე დავიჭირეო.

მსპანი. მრთს ფრანკუზულს  
გაზეთში სწერენ: რომ კაცმა ნახოს  
ახლანდელი ალტაცება ამ ღონ-პლ-  
ჭონის ჩამოსვლაზედაო, იფიქრებო,  
რომ ეს კაროლი ხალხის გამკეთებელი  
და მხსნელი არისო; მაგრამ ყველასაგან  
შენიშნულიაო, რომ მსპანიის ხალ-  
ხის ალტაცება ხანგრძლივი არ არი-  
სო: როგორც მალე მოვა ალტ ცე-  
ვაში, ისე მალე გაუგრძელდება გუ-  
ლიო, დღეს რომ ერთს ვისმე ან

რასმე თავყენს სცემს, ხელს მერო-  
სო. თუ ამ ხალხის თვისებაა და მას  
გარდა ოფიციალურ ნასიათს ალტა-  
ციებისას მივიღებთ მხედველობაში, არ  
უნდა გავივივრდეს, რომ ერთი, წლის  
შემდეგ მსპანიის კაროლი ღონ-პლ-  
ჭონსი გადმოაგდონ ტახტიდამ და  
მსპანიაში ისევ რესპუბლიკა დაფუძ-  
ნონო!

### ქრონიკა

სტატია VIII  
ს ა ი ნ გ ი ლ ო

მართალია მონგოლებმა საქართვე-  
ლო დაიმორჩილეს; მაგრამ იმათ  
ქართველების ერთობისათვის ისრედი  
დიდი ენება არ მიუციათ, რამდენიც  
თავის ურიგო უპოლიტიკო ტაქტიუ-  
რი მოქმედებით მისცეს მეფეებმა და  
მთავრებმა.

მონგოლებმა თითქმის სარგებლო-  
ბაც კი შეჰძინეს იმათ, რომ აღწერეს  
საქართველოს ერთი და ჯარის მიჯრე-  
ბი შეადგინეს, მაგრამ საქართველოს  
თვით-მართველობა არ ჩამოართვეს.  
ია ცხოვრებდა თავის კანონებზე,  
ჩვეულებებზე და უწინდელ სამოქალა-  
ქო ცხოვრების წესზე. მართველები  
იმათ აძლევდნენ მხოლოდ ხარჯს  
და ომში შეელოდნენ, მაგრამ მისა-  
თვისაც ისინი იმათ დიდს პატივსა  
სცემდნენ და საჩუქრებს აძლევდნენ.  
მართველები შეადგენდნენ იმათ მო-  
წინავე ჯარებს, იმათ ყაინის ამალას  
(рваница) და ქართველების მეფე იყო  
მესამე პირი იმათ სახელმწიფო თათ-  
ბირში.

აგრეთვე დიდს პატივში ჰყვანდათ  
სასულიერო წოდებაცა. ღვთაებისა  
და ეკლესიებისაგან ისინი ხარჯს არ  
იღებდნენ, „ხოლო ხუცესთა და  
მონაზნთა, ამბობს „მარ. სხოვრე-  
ბა“ 387 კაბადონზე, არა შეადო საზ-  
ღვარი და არცა ყლანი და ყოველისა მსჯუ-  
ლისა კაცი საღთად განჩინილნი ათვისუ  
ფლა.“

მაშასად მე მონგოლების მოქმე-  
დება ჩვენთვის არ იყო დიდად ძე-  
ნებელი; მაგრამ მრავალი მთავარი  
ბოროტად ხმარობდა მორიგის ლა-  
შქრობას. ამ ლაშქრობამ ქართვე-  
ლების ერთობა დაარღვია. რადგან  
საქართველოს ლაშქრები ნონინებს  
თავ-თავისად განაწილებული ჰქონ-  
დათ და იმსახურებდნენ, ამისათვის  
საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის  
ჯარები ერთმანეთთან გაუცხოვდნენ  
და სამხედრო დიდებამ და გამარჯვე-  
ბამ ბღვერით დაწყებინათ ერთმანეთ-  
ისთვის ყურება.

შეჭველია, რომ ამგვარი ღვარძ-  
ლის ჩათვსელა მონგოლებს არ უნ-  
დოდათ; და თუნდ რომ კიდევნდო-  
მებოდათ, თავის მოქმედებებთან ამას  
არ მოელოდნენ; მაგრამ ზოგიერთმა  
ზნეობითად წაშხდარმა ქართველებმა  
თავის პირადის სარგებლობისათვის  
დაიწყა ქიშპობა და ქართველებში  
ურთიერთ-შორის უთანხმოებას ჩა-  
ბოქრავა.

მონგოლები თუ იყვნენ ქართვე-  
ლებისთვის უსარგებლონი, მხოლოდ



იმით, რომ იმათ საქართველოში შემოსევამ მკობურებს მოუშალა მშვიდობიანი ცხოვრება და მუშაკობა მით, რომ მონგოლებს მუდამ ლაშქრობაში ჰმელოდნენ და თავის წარმატებას სცდნოდნენ.

მაგრამ თუ ქართველების მთავრობას ჰქონდა პოლიტიკური გამკრახობა, მაშინ მონგოლების მოქცეულებას და შეცდომილებას თავის სასარგებლოდ იმარტავდნენ მონგოლები ერთმანეთში ომობდნენ და ქოშობდნენ; ქართველებს კი ამდროს იმათთვის ყური უნდა ეგდოთ, და როცა ისინი, როგორც ჩვენი პოეტი ამბობს: ძმა ძმას სახრეს გარღუჭუნდნენ, მტერს კომბალს თავში დასცხებდნენ, და ორივე ერთად შეხრიკულნი ქვეყნად დაანარცხებდნენ, მაშინ ქართველებს უნდა შეემუხათ მონგოლების სამხედრო ძალა. მაგრამ ვაი რომ ასრე არ იყო! შულაგუ ყაინმა მთრანის ყაენის ბარახას ნათესავეები, რომელნიც მცირე აზიაში იყვნენ, დახოცა და ამ მიზეზით ბარახასა და ბულაგუს შუა ასტყდა ომი.

მაგრამ ვაი უბედურებას, რომ ისინი წაიკიდნენ და შუაში ჩვენი ინგილოები ვაჭულიტეს. ბულაგუ ყაენმა ბარახა ყაენის ყელა მცირე აზიაში მკხოვრები ნათესავეები ვერ დახოცა; გადარჩნენ მცირე მთიანეთში და მორაქველები.

ამათ ასტყებთ ბულა-ბუსთან საქართველოში ომი. ალათემურმა რამდენჯერმე დაამარცხა ბულაგუს ჯარები; გამოიარა ჯ ვახევი და მორაქველი და შევიდა ქართლში, სოფლის რუისის მახლობლივ გავიდა მტკვარს, გაიარა ძახეთი, გაფარცხა შიხიყი და გავიდა ალაზანს გაღმა ბელაქანში. აქ ინგილოებმა აუტყვის საშინელი გამწარებული ომი. დიდხანს იომეს ალა-მთებრმა და მამაცმა ინგილოებმა და არ მისცა იქ გჩერების ნება. მაგრამ ლაშქრიანობამ მცხოვრებლები ძლიერ ბევრი დახოცა. ალათემურმა და შოლაქ დემურმა, რომლების სახელებსაც ინგილოები ეხლაც წყველა-კრულით იხსენებენ, მრავალი ეკლესიები და სოფლები ამოაგდო. ბოლოს რომ დაჰკარგა იმედი ინგილოების დამარცხებაზე განვლეს ჰკრეთი ყოველგან ომითა და წარვიდეს გზასა ბელაქანისას: შევიდეს ხუნძეთს, რამეთუ წინა განეწყო მეფე ხუნძთა; მაგრამ ალათემურმა და მამარცხა და გვიდა რუაეთის მხრისკენ ბარახა ყაენთან; მაგრამ დასტავა თავისი სახელი ინგილოებში.

ახლანდელ ინგილოებს ზებირგად მოცემით ძალიან კარგად ახსოვთ სახელი ალათემურისა, შოლაქ-დემურისა და მემურ-ლენგისა, რომლებსი საქართველოში ყოფნას ქართლის ცხოვრება ძლიერ კარგათ და გარკვევით იხსენებს.

ცხოვრების ცოდნა ყველა ინგილო-სთვის შეადგენს საღმთო ვალს და არის გამაძნეველი და გამაძლებელი მისი ცხოვრებისა.

ინგილო ჯანაშვილი.

### საბაასო

ჩვენ რა ვსთავით და ისინი რას ამბობენ.

„დროების“ № 7-ში ჩვენ დავეძვეთ ქალაქის გამგეობის და მისი თანამგრობის სომხების (რომელნიც მთელს მცხოვრებლებში დიდს უმეტესობას შეადგენენ) მოქმედება და თანაც ეს დაესძინეთ, რომ სომხურის გაზეთების და განსაკუთრებით „მშაკისაგან“ გვიკვირს ამავე საგანზე ხმის ამოუღებლობა თქო! მორემ, თუ ეს ასე არ კოფილიყო, და მშაკელებიც მათთანა სომხებათ ჩაგვეთილა, მაშინ რაღათ გაგვიკვირდებოდა ხმის გამოუღებლობა?

არა თუ ფილოსოფოსი, უბრალო მომავლადეიც უნდა მიძებდარიყო თუ რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები... ნუ თუ ცხადათ არა სჩანს აქედამ ის, რომ სომხის გაზეთების გამოცემლები, მათი მიმდევრები და განსაკუთრებით „მშაკელები“ არ მიგვაჩინა იმ სომხების თანამგრობლებათ და თანასწორათ, რომელნიც ჩვენ დავეძვეთყვით?..

მაგრამ „მშაკმა“ კი თავი გამოიღვა და ამ სიტყვებში ხედავს მთელს სომხის გეარის შეხებას; აი, დიდება შენდა მშერთო!.. რა? რა? საიღამ გამოჰყავს ესა? შალაქელ სომხების უმეტესობა რომ დავეძვეთ მითომ?

ჰე! სჩანს, რომ „მშაკს“ მთელს სომხის გეარათ მიჩინა ის ქალაქის სომხები, რომელნიც ჩვენ დავეძვეთ? თუ ასეა ეტყობა, რომ ძალიან უხეიროდ ესმის სომხის გეარობა. და გვიკვირს ამის შემდეგ, როგორღა გვეუბნება, სად არის ნათესაობა, შეერთებული სიმძლიერით წინ წასვლა და სხ. მაშინ, როდესაც ის მომხრე და ერთობის მექონი ჰყოფდა იმ სომხებს და იმ სომხებში ხედავს მთელს სომხის გეარს, რომელთაც ქართველები გასაპარსავ ცხოვრებათ მიჩინათ, რომელთაც ამ დღეებში ერთი ღირსიული ქართველი დაიწუნეს ქალაქის გამგეობაში მისთვის, რომ ის ერაცუაო, იძახდნენ?

„მშაკი“ გამოტყვილია, რომ თვითონაც დაუგმია ქალაქის გამგეობა და მათი მიმყოლი სომხობა; ეს ნიშნავს, რომ არ მოსწონს მათი მოქმედება და თუ არ მოსწონს რაღათ ექომავება? და მერე რა ნაირად, თითქოს მართლა ისინი შეადგენდნენ სომხის მთელს გეარობას!... ან თვითონაც არ ესმის რას ამბობს და ან ჩვენი მოტყუება უნდა!...

მგება იმას ბრძანებდეს, რომ საზოგადოათ ტფილისის სომხებზედ ცუდი არ ითქმისო, რადგანც კარგებიც ურევიანო, მაგალითად „მშაკელეობა“? ასში რომ ორი გამოერიოს, ნუ თუ იმ ორს მისთანა ხათრი უნდა

ვაუწიოთ, რომ ოთხმოც და თერამეტს თავი ვასრესიოთ?.. თუ უცადოთ იმ დროს, როდესაც მათი რიცხვი მოიმატებს? მანამ ხომ ჩვენ ჩვენი დაგვიმართება? და რომ ტფილისში იმისთანა სომხები, რომლის თანამგრობაც ჩვენ შეგვიძლიან, ცოტა არის ამას „მშაკი“ თვით ამტკიცებს: ათაჯერ უთქვამს სიტყვა და ტფილისის გამგეობას, სომხობას, ყურადღებაც არ მიუტყევიო, ეს ნიშნავს რომ გველენა არა ჰქონია „მშაკს“ ვ. ი. მისი თანამგრობი ცოტა ყოფილა.

არა, არა, ბევრიც რომ იჯავროს „მშაკმა“ ჩვენ ქალაქელ-სომხების უმეტესობასთან საზიარო არა გვიქნება რა! შერ მოვირგდებით მათთან. და ვერ მოვირგდებით მისთვის, რომ მათში ჩვენ ვერ ვხედავთ იმ სომხებს, რომლის ხელის მიცემაცა გვსურს!.. და მოტყუებით თავს ველარ მოვიტყუებთ პ რში გამოანგარიშებულის ტფილისის სიტყვებით და ზურგს უკან ენის ყოფით... ნურას უკაცრავად, თუ მთილისის სომხებში ვერ ვხედავთ იმ სომხებს, რომელთანაც კავშირი შესძლებელია, მანვიმეორებთ რომ ის სომხები, რომელთანაც ქირიდა ლხინი გაგვიზიარებია და აწცა მზა ვართ გავიზიაროთ, სულ სხვა გვარისა არიან და იქნებთან, ეიდრე მთილისი ელემი! ჩვენ მათში ნამდვილს სომხის გეარს ვერ ვხედავთ და თუ „მშაკი“ ჰხედავს, ღმერთმა მოახმაროს!..

ჩვენ ურჩევთ „მშაკს“, რომ ჯერ კარგად გაგვას ჩვენი სიტუაია, რიგინი პასუხი მოგვეცეს და მერე მიეცემთ პასუხს, რომ ეკადრება მისთანს; ტყუილად ნუ გვწამებს ცილს, ვითომც ჩვენ მთელი სომხის გეარს ვხეებოდეთ. ჩვენ ის კაცი არა ვართ, რომელმაც ერთხელ გამოაცხადა, რომ რა ჩემი ბრალია, რომ სომხათ დავიბადეო, შე თვითონ მრცხენიან ჩემის სომხობისაო და სხვა. და არც იმათი თანამგრობი ვართ, რომელნიც მთელს სომხის გეარს ჰხედევენ ტფილისის სომხებში, იმ სომხებში, რომლებსი გამოც, სომხების მაგიერ ჩვენა გერცხენია! „მშაკი“ კი მათში ჰხედავს მთელს სომხობას. ისინი არიან მისი მომავლის იდეალი?.. მოგვილოცავს!.. მოგვილოცავს!..

რაც შეეხება „მშაკისაგან“ იმის ბრძანებას, რომ ვითომც „დროება“ ყმაწვილოურს, უგნურსა და მკვანებ სტატიებს ჰხედავდეს, ეს ხომ გინება არის, და გინება განა ეკადრება იმას, ვინც ფილოსოფოსის დიპლომით დატვირთულია. აგრეთვე „მშაკი“ ამბობს: ატუსს რომ „დროება“ სამჯერ გამოდიო, და ჩვენ მისივე სიტყვებით მოვასხენებთ. მაგრამ უფრო მცირეთ: ატუსს, რომ „მშაკი“ ერთხელ გამოდის...

აკაკი

### ნარკვი

მთის ატლანდის ოკეანეში მიმავალს ხომალდს ამას წინათ ცეცხლი მოჰკიდებია; მოგზაურები ნაეში ჩამხსდარან და ხომალდი მიუტოვებიათ; მაგრამ რადგან შუა ოკეანეში

ყოფილან და დედამიწას შეიძინ ღლის განმავლობაში ვერ მისდგომიან; მშობელი ნაწილი მათგანი დედამიწაზე მხოლოთ ერთი ნაგი გადარჩენილა, რომელიც მიდაც ოთხი კაცი იყო თურმე; მაგრამ ნაპირზე რომ გამოვიდნენ, გამოტყდნენ, რომ ჩვენ ხუთი ვიყავითო, და ერთი ყმაწვილი შეგვამეთო, ძალიან რომ გაგვიკირდა საქმე და შიმშილმა გაგვაბრაზაო.

მთის მიწის საპრობილეში ამას წინათ ტუსალი მომკვდარი. საპრობილის ზედამხედველს, როგორც კანონი მოითხოვს, იმ წამსვე მოუხსენებია ეს ამბავი იმ სასამართლოსთვის, რომლის გადაწყველებითაც ეს ტუსალი დატყვილი იყო. სასამართლოში ბევრი უძებნიათ, მაგრამ ამ კაცის თაობაზე არაფერი საქმე და გადაწყვეტილება არ ყოფილა შემდგარი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს კაცი ამ ათის წლის წინათ დაუტუსადე მათ დროებით რაღაც უბრალო დანაშაულშიათვის და, მალე უნდა გაეთავისუფლებინათ; მაგრამ სასამართლოდამ იმის საქმე შეცდომით არხივში გადაცათ და ამნაირად საწყალი ტუსალი ყველასაგან დავიწყებული იყო; მხოლოთ ახლა რომ მოკვდა შეიტყეს, რომ ათის წლის განმავლობაში სულ ტყუილ-უბრალოთ იყო დამწყვეტული.

ჩინეთის ბოლდისანი (იმპერატორი) მიცვალბულია; იმის შემკვიდრედ დარჩენილა ხუთი წლის ვაჟი, რომელსაც ამნაირად 400 მილიონის ხალხის ბედი და უბედობა ჩაუვარდება ხელში.

შვეიცარიაში ერთი რაღაც ჰია გაჩენილა; რომელიც საშინლად ვნებს თურმე კარტოფილს და რამდენსამე შტატში კარტოფილის მოსავალი სრულებით გაუფუჭებია. შვეიცარიის რესპუბლიკის მმართველობამ ამ ჰიის თაობაზე ყველა მეროპის სახელმწიფოებს მოსწერა რომ, თუ მეროპაშია გაჩნდეს, ერთად ვეცადოთო, რომ ხალხს ვნება არ მოუტანოსო, რადგან კარტოფილი ერთს ბუცილებელ საკვებს შეადგენს ახლმ განსაკუთრებით ღარიბი ხალხისთვისო.

შოსკოვის ერობას გადაუწყვეტია, რომ იმ გლეხს, რომელიც თავის სახლების აშენების დროს ადვილ დასაწვავ მასალებს არ იხმარს, რომელიც ქვეთკირით მოინდომებს სახლების შენებას, რამდენსამე შემწობას ჩვენც მიეცემთო. ეს დაუდგიათ, რასაკვირველია, იმისთვის, რომ ცეცხლს ისეთი ზიანის მოტანა არ შეეძლოს სოფლებში, რამდენიც ახლა მოაქვს.

### საპაპრო

იანერის 13-ს ძაეკასიის აქეთა მხრის პრიკაზში გაისყიდება ზემოაქეთალაში მდებარე ენაბი ქერივის შვატერიინა ღარჩინოვისა, იმ ვალში, რომელიც 1862 წელს აუღია (2000 მანეთი) პრიკაზიადამ. სამი ღლის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იქნება. 3 (3) 15.

ბაქოს პორტის კამანდირი გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ შეშის დადგმა 1875 წლისათვის 379 საყენი მუხის ხისა, რომლიდამაც 229 საყენი ბაქოს პორტში ბაილოვში და 150 საყენი პრანოიოდსკში; ამას გარდა 2100 საყენი ოთხმელის ხის შეშა უნდა დაიდგას აგრეთვე ბაქოს პორტში. ვაჭრობა დანიშნულია ბაქოში 21 იანვარს და 25-ს ხელმეორედ ვაჭრობა იქნება. უფრო დაწერი



ლებითი პირობების შეტყობა ბაქოს პორტის სამმართველოში შეიძლება. 3 (3) 16

სამაზრო ინჟინერის მმართველობა ქავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიწვევს მსურველებს. რათა იკისრონ იჯარით აღება ქ. ალექსანდროპოლში შემდეგი მუშაობისა: 1) ციხის ხევი უნდა აშენდეს თოფის-წამლის შესანახავი სარდაფი, 2) ფეხის ადგილები უნდა გადაკეთდეს ალექსანდროპოლის ლაშქარში; ამას გარდა 153 ბაქოს ქვევითა პოლიციათის, ახალქალაქში, ორი კუხნა უნდა აშენდეს. მასი იჯარისა დანიშნულია 54,263 მან. და 96 კაპ. მაჭოზა იქნება თფილისში, სამაზრო ინჟინერის კანცელარიაში, ინანის 23-ს; ხელმეორეთ ვაჭრობა აღარ მოხდება. შერო დაწერილეთით პირობების ნახე ამ იჯარისა თვითონ ინჟინერის კანცელარიაში შეიძლება, უკველ დღე 9 1/2-დამ 3 საათამდე. 1 (3) 10

სამაზრო ინჟინერის მმართველობა ქავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება შემდეგი მუშაობისა—თერგის მაზრაში, ქ. შოზღვიქსკში: 1) არტილერიის ბრიგადისათვის ორ-ტყაფიანი ქვეთკირის მასტერკაიას აშენება; 2) ძველი სახურავის გამოცვლა და ახალი კრამიტის სახურავით გაკეთება შტ. ბ. კვარტირების შენობებისა და 3) რემონტი სამი ყაზარმისა, — სულ 27,104 მანეთის იჯარაა. მაჭოზა დანიშნულია თფილისში ინანის 24-ს, ხელმეორეთ ვაჭრობა არ იქნება. 1 (3) 11

ქვევინის გუბერნიის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ, იჯარით, გადაკეთება შეიძ კარდონის პოსტებისა მინიაძინის და ალექსანდროპოლის უხვლებში და აგრეთვე ახალი პოსტის აშენება შიგ-ტატინში, — 73,215 მანეთისა. მაჭოზა მოხდება 11 თებერვალს ქ. ქვევანში. 1 (3) 12

დროშის უოკბა. — ი. ჯ. — ს. მ. — ში. ბანაკრძეთ წერა; არავის მხრით არავითარი დაბრკოლება არ არის. მქვევან ნახსენები სტატია თავის დროზე მხოლოდ უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდა. „დროშის“ ყველა ნომრები გუშინ გამოვიგზავნეთ.

ს. ც. — ს. მ. — ში. შველა თქვენი რჩევა არ გამოგვადგება. „სწოხათ შერცელი ყოველს №-ში იმიტომ იბეჭდება, რომ თუ რამესი შეტყობა დასჭირდა ვისმეს რომ ყოველთვის ხელად მონახოს, ძებნა არ დასჭირდეს. თუ არავისთვის არაფერი გვაქვს საცნობელი, ფორტა რათ გვინდა.

ა. ა. ა. — ს. მ. — ში. ნუ გეწყინებათ და ღეტყობათ, რომ მიდგომით ლაპარაკობთ და აქებთ, თქვენ რომ იტყვი, იმ პირებს. სარეკლამო სტატიებს გაზეთში ალაგი ვერ მივიცვამ.

X — ს. მ. — ს. და ქ. — მ. — ს. — შ. — ს. მქვენი კორრესპონდენციები წიგნით შემდგომ ნომერთაგანში დაიბეჭდება. ახლა მხოლოდ უადგილობის გამო ვერ იბეჭდება.

ა. ვ. — ს. მ. — ს. მ. წამ ნომრიდამ დაწეებული, როგორც თხოვლობთ, რაც რ — ს. გასაგზავნი გაზეთები, სულ თქვენს სახელობაზე გამოგზავნით ერთად.

### ანგარიში

ოქისის გამსახველ-შემნახველი ამხანაგობისა 1874 წლისა

დამტკიცებული საზოგადო შეკრებოლებიდან 29 დეკემბერს, 1874 წ. წვერათ ირიცხება ამხანაგობაში 288 კაცი.

#### ა.) შამოსავალი.

- 1.) წვერთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . 1582 მ. 60 კ.
- 2.) სარგებელი დაჭერილი ფულის გასესხების დროს . . . 403 მ. 20 კ.
- 3.) სესხები დაბრუნდა ახალი ვადა მიუცემელი . . . 2025 მ. „
- 4.) სასარგებლოდ შემოტანილია კერძო პირისაგან . . . 40 მ. „
- 5.) ამხანაგობამ აიღო ვალად დამფუძნებელთაგან . . . 1500 მ. „
- 6.) ამხანაგობამ აიღო ვალად თფილისის საზოგადოებისაგან საუთიერთო ნდობისა და კერძო პირთაგან . . . 2110 მ. „
- 7.) სარგებელი მიღებული თფილისის საეკარო ბანკიდან . . . 14 მ. 72 კ.

სულ შემოსულა . . . 7675 მ. 52 კ.

#### ბ.) გასავალი

- 1.) გასესხებული . . . 6710 მ.
- 2.) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ შემოტანილის ნახსენისა . . . 4 მ.
- 3.) სარგებელი მიცემული: სესხებზედ და სასარგებლოდ შემოტანილ ფულზედ . . . 48 მ. 8 1/2 კ.
- 4.) შეტანილია თფილისის საზოგადოებაში საუთიერთო ნდობისა . . . 150 მ.
- 5.) თფილისის საზოგადოებამ საუთიერთო ნდობისა გამოვიგვირცხა წესდების თა-

ნახმად . . . 5 მ. 30 კ.  
6.) სამმართველოს ხარჯი. 335 მ. 50 კ.  
სულ გასულა . . . 7257 მ. 88 1/2 კ.  
ბ.) კასსა  
1.) ნაღდი ფული არის კასსაში . . . 422 მ. 63 1/2 კ.

ქასსის ჯამი . . . 422 მ. 63 1/2 კ.  
ზასული არის . . . 7252 მ. 88 1/2 კ.

საფუძველსა ზედა § 52 წმინდა მოგება განწილებულია:

- 1.) სათადარიგო თანხაში . . . 3 მ. 3 კ.
- 2.) მოგებათ წილებზედ . . . 27 მ. 30 1/2 კ.

ჯამი . . . 30 მ. 33 1/2 კ.  
1 იანვარს 1875 წლისა არი:

- 1.) საწილო ფული . . . 1582 მ. 60 კ.
- 2.) სასარგებლოდ შემოტანილი . . . 40 მ.
- 3.) სესხები:  
ა.) პირველ დაწეებითი . . . 1500 მ.  
ბ.) შემდგომ აღებული . . . 2110 მ.
- 4.) სათადარიგო თანხა . . . 3 მ. 3 კ.
- 5.) წმინდა მოგება . . . 27 მ. 30 კ.

ჯამი . . . 5262 მ. 43 კ.  
ზასესხებული ახალი ვადა მიუცემელი . . . 4685 მ.

თფილისის საზოგადოებაში საუთიერთო ნდობისა . . . 155 მ. 30 კ.  
ქასსაში არის ნაღდი ფული . . . 392 მ. 30 კ.

ჯამი 5232 მ. 60 კ.  
3 (3) 17 ბამგენი მ. ქალაგოში ბ. ოსეაოში

### სამი თვის ანგარიში თიონეთის გამსახველ-შემნახველის ამხანაგობისა

1-ი სექტემბრიდან 1-ს დეკემბრამდე 1874 წლისა

ამხანაგებთა ირიცხებიან 182 პირნი 1, შამოსავალი:

- ა., ამხანაგობისაგან არის შემოტანილი წილის ფული. 2581 მ. — 80 კ.
  - ბ., სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . . 162 მ. — „
  - გ., სესხი . . . 1150 მ. — „
- სულ . . . 3893 მან. 80 კ.პ.

#### 2, გასავალი

- ა., გასესხებული . . . 2700 მ. — „
  - ბ., დაზარალებული გამოგობის გამართვაზედ . . . 196 მ. — 80 კ.
- სულ გასულა . . . 2896 მ. 80 კ.

#### 3, კასსა

ბ., შეტანილი არის თბილისის საეკარო ბანკში სარგებელზედ 27 ნოემბრიდან ამა წლისა 800 მ. — „  
ბ., ნაღდი ფული არის კასსაში

397 მ. —  
სულ . . . 1197 მ. 86. —  
ბ. ლოდავეი.  
გამგებელნი . . . ბ. ბაქრაძე.  
3 (3) 4 მ. ჯანდიერი.  
2 (3) 9

### თფილისის სამკურნალო (4 პირლის სახსოვრად)

აეთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9 საათამდე ვიდრე 1 საათამდე

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, პარენციკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული აეთამყოფებისათვის, მარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი აეთამყოფებისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარენციკი — ყმაწვილებისა და ვენერიული აეთამყოფებისათვის. ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარენციკი უმ.წ., ქალებისა და ვენერიული აეთამყოფებისა. მარაკაროვი და ლისიცივი — შინაგანი აეთამყოფებისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მინკევიჩი — ხირურგიისა, პარენციკი — ყმაწვილებისა და ვენერიული აეთამყოფებისათვის. ლისიცივი — შინაგანი აეთამყოფებისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარაკაროვი და ლისიცივი — შინაგანი აეთამყოფებისათვის.

### განცხადება

რუსული გაზეთის

„თფილისის მოამბის“ გამოსცემაზე 1875 წელს

„თფილისის მოამბე 1875 წელს გამოცემა იმავე პროგრამით, იმავე დროს და იმავე სივრცით, როგორც შარშან გამოდიოდა.

გაზეთის ფასი მართი წლით, გიგზავნით . . . 8 მან.

ნახევარი წლით . . . 4 დანაოკ.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორამ, ბოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრეკით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ТИФЛИССКАГО ВѢСТНИКА.“

2 (3) 1

რ.ბ.ზ.ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის ვაშები	ფოშტა	ბირჟა	მან. კაპ.	მან. კაპ.
თფილისი	818	817			ა) შოთილდამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 7 იანვარს.		მან. კაპ.
მცხეთა	918	10	68	38	მდისიკენ — ხუთშაბ. საღ. 16 საათ	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	თფილი, 16 იანვარს.		
ბორი	1139	143	240	123	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	პური შორაგალის ფთ.	110	
სურამი	152	430	392	218	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	მერი ფუთი . . .	60	
ბეკათუბანი	345		442	246	შოთს — ოთხშაბათს, დამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშუფ. და	ბამბა ქვევინისა, ფუთი . . .	5	
ქვირილა	649		581	323	მდესას — პარასკევს, გათენებისას	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	— ამერიკისა, ფუთი . . .	655	
ქუთაისი	755		675	375	შოთილდამ: I II III	ბ) ქუთაისი დამ:	ბანკის ბილეთი 5%	9775	
სამტრედია	92		773	429	სოხუმიდამი . . . 4 „ 3 „ 1 „	თფილისისა და შოთისაგან — ყო-	მოგებიანი (პირველისესხი)	195	
ახ.-სენაკი	10		857	476	ქერჩამდი . . . 20 50 15 50 5 „	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	195	
შოთი	11		975	542	ჭავჭავი . . . 34 „ 27 „ 860	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	ბ-როს ფურცლები:		
					მდესამდი. 38 „ 30 „ 960	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		
შოთი	738				ტელეგრაფი მ. კაპ	გ) ბორი დამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2%)	8450	
ახ.-სენაკი	911		118	66	მცი სიტყვა თფილისიდან:	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%) . . .	8050	
სამტრედია	1012		26	114	ქუთაისს, შოთს . . . 1 —	გარდა.	აქციები:		
ქუთაისი	1117		34	169	ბორს, დუშეთს, სიღნახს . . . 50	დ) შოთი დამ:	მდისის საეკარო ბანკის.	235	
ქვირილა	1238		398	221	როსტოვს მდესას მოსკოვს . . . 2 —	შოველგან — ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის	133	
ბეკათუბანი	327	ლაშე	533	296	პეტერბურგს, პარაშავს . . . 3 —	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	
სურამი	457	1230	584	324	მსპალეთში, შვეიცარიაში . . . 3 —	წიგნის გაგზავნა რუსეთში:	ქავკასის და მერკურის . . .	168	
ბორი	723	331	736	49	იტალიაში და საფრანგეთში . . . 3 50	ლა წიგნის . . . . . 5	პირგ. საზღვევ. საზოგ.	665	
მცხეთა	952		98	4	ინგლისში . . . . . 4 —	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . 10	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	
თფილისი	1049	8	2975	542			მოსკოვის საზღვევ. საზ.	25765	